# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 77

„ 26 ” დეკემბერი 2017  წ

ქ. თბილისი

### ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების დადების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების დადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 დეკემბრის №48.16.974 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში 506633,93 (ხუთასექვსიათას ექვსას ოცდაცამეტი ევრო და ოთხმოცდაცამეტი ევროცენტი) ევროს ოდენობით გრანტის მიღების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე